

დორიან გრეის პორტრეტი

ერთ მოქმედებად

(ინსცენირების ავტორი დანა გოლდმანი, ოსკარ უაილდის რომანის მიხედვით)

მოქმედი პირნი:

დორიან გრეი

ლორდ ჰენრი უოტონი

ბეზილ ჰოლუორდი - მხატვარი

ალან ქემბელი

სიბილ ვეინი - მსახიობი

ჯეიმს ვეინი - სიბილის ძმა

მერი - მეძავი (იგივე სიბილი)

სცენა 1

(ბეზილი და ჰენრი სხედან სავარძლებში, კლუბი. სიბილი ასრულებს სალომეს)

სიბილი:

აჰა, შენ მე არ დამანებე ბაგე კოცნისათვის, იოქანაან. კარგი, ახლა მე ვაკოცებ მას. მე დაეკვბენ მას კბილებით, როგორც კბენენ მწიფე ნაყოფს. დიახ, მე ვაკოცებ შენს ბაგეს, იოქანაან. განა არა ვთქვი? ხომ ვთქვი! და აი ახლა ვაკოცებ. მაგრამ რად არ მიყურებ, იოქანაან. შენი თვალები საშინელი, შენი თვალები სავესენი მრისხანებითა და გესლით, ახლა დახუჭულან. რად დაიხუჭნენ? აახილე თვალები შენი, ასწიე შენი წმარამები, იოქანაან. რად არ მიცქერი? გეშინია ჩემი და არ მიყურებ, იოქანაან? შენი ენა კი, როგორც გველი წითელი, შხამის მდენი, ახლა სდუმს, ახლა არაფერს ამბობს, იოქანაან, ის წითელი იქედნე, რომელმაც შხამით შეურაცხმყო. განა საკვირველი არ არის? როგორ მოხდა, რომ ეს წითელი იქედნე აღარ ირხევა? შენ არ მომინდომე, იოქანაან, შენ მომიშორე. შენ არცხვენდი ჩემს სახელს: შენ მეცქეოდი როგორც უნამუსოს, როგორც კახპას - მე, სალომეს, ჰეროდეას ასულს, იუდეის მეფის ასულს. ახლა კი, იოქანაან, ცოცხალი ვარ, შენ მკვდარი, შენი თავი მეკუთვნის მე. შემძლია მოვექცე, როგორც მომესურვება. შემძლია ძაღლებს გადავუგდო და ფრინველებს ჰაერში - რაც ძაღლებს გადაურჩებათ, ფრინველები დაჰკორტნიან. აჰა! იოქანაან! იოქანაან! შენ იყავი ერთადერთი ადამიანი, რომელიც მიყვარდა, სხვა ყველა მეზიზღებდა. მაგრამ შენ, შენ იყავი ლამაზი, შენი ტანი ტანი იყო ვითარცა სვეტი სპილოს ძვლისა ვერცხლის კვარცხლბეკზე შემდგარი. ვითარცა ბალი აღსავსე მტრედებითა და ვერცხლის ზამბახებით. იგი იყო ვითარცა კოშკი ვერცხლისა შემკობილი სპილოს ძვლის ფარებით. არაფერი იყო ამქვეყნად უთეთრესი შენი ტანისა. არაფერი იყო ქვეყნად უშავესი შენი თმისა. მთელ ქვეყანაზე არაფერი იყო უწითლესი შენი ბაგისა. ხმა შენი იყო სამსხვერპლო ჭურჭელი, უცნაურ სურნელებათა გამომცემი, და ოდეს მიმზერდი, მესმოდა უცნაური მუსიკა. შენ კი, რად არ მიმზერდი, იოქანაან! ხელსბდა გმობას მოაფარე შენი სახე. თვალები აიხვიე, როგორც მან, ვისაც საკუთარი ღმერთის ხივლა უნდოდა. შენ, მართალია, იხილე ღმერთი შენი, იოქანაან, მაგრამ მე არასოდეს არ გინახივარ. რომ გენახე, შემიყვარებდი. მე გნახე, იოქანაან, და შემიყვარდი. მე ჯერ კიდევ მიყვარხარ, იოქანაან. მხოლოდ შენ ერთი. შენი სილამაზე მწყურია! შენი ტანი მინდა. ვერცა ღვინო, ვერცა ნაყოფნი მოსპობენ ჩემს სურვილს. რაღა ვქნა ახლა, იოქანაან? ვერც მდინარენი, ვერც დიი წყლები ვერ ჩააქრობენ ვნებას ჩემსას. მეფის ასული ვიყავ - შენ შემძულე. ქალწული ვიყავ - შენ წამართვი ქალწულობა. უბიწო ვიყავ - შენ აანთე ცეცხლი ჩემს ძარღვებში. აჰ! აჰ! რად არ შემომხედე, იოქანაან! რომ დაგენახე, შემიყვარებდი! მე ვიცი, შენ შემიყვარებდი, იოქანაან. რამეთუ იდუმალეა სიყვარულისა მეტია, ვიდრე იდუმალეა სიკვდილისა. მხოლოდ სიყვარულს უნდა უმზირო ადამიანმა, იოქანაან!

ლორდ ჰენრი: ხელოვანი თუ ხარ, სილამაზეს უნდა ქმნიდე.

ბეზილი: სილამაზეს? ერთი რუსი მწერალია, გვარი აღარ მახსოვს, ეგ წერდა, სილამაზე სამყაროს გადაარჩენსო.

ლორდი ჰენრი: სისულელე. კიდევ ერთი.

ბეზილი: ხელოვანი მაშინ გქვია, თუ სილამაზეს ქმნი.

ლორდი ჰენრი: შენ უნდა გადაგვარჩინო? ხელოვანი თუ რაღაცის დამტკიცებას იწყებს, სულელია. მთლად ჭეშმარიტებასაც რომ ამტკიცებდეს, მაინც სულელია, იმიტომ, რომ ჭეშმარიტების დამტკიცებაც შეუძლებელია.

ბეზილი: რატომ? მე მაინც მგონია, რომ ხელოვნება მორალს უნდა ემსახურებოდეს.

ლორდი ჰენრი: მორიგი სისულელი. არ არსებობს მორალური ან ამორალური ხელოვნება. ხელოვანს შეუძლია, ყველაფერი გამოხატოს.

ბეზილი: იმაში მაინც ხომ მეთანხმები, რომ სილამაზეს უნდა ქმნიდეს?

ლორდი ჰენრი: რა თქმა უნდა, მაგრამ სილამაზესთან მორალი არაფერ შუაშია. საერთოდ რაზე ვკამათობთ, მომწყინდა აქ. წავიდეთ.

ბეზილი: არა, მოიცა. რაღაც უნდა გაჩვენო.

(სცენის სიღრმეში შემოდის დორიანი. ხმას არ იღებს. ჩერდება)

ლორდი ჰენრი: ეს რა არის?

ბეზილი: თავიდან სხვადასხვა ეპოქის კოსტიუმებში ვხატავდი, მერე მომბეზრდა და უბრალოდ დავხატე.

ლორდი ჰენრი: ეს შენი საუკეთესო ნამუშევარია, ბეზილ, მომავალ წელს აუცილებლად გროუვენერში უნდა გაგზავნო.

ბეზილი: არ ვაპირებ.

ლორდი ჰენრი : რატომ? რა უცნაური ხალხი ხართ ეს მხატვრები. ყველაფერს აკეთებთ, რომ სახელი გაითქვათ და როგორც კი მიზანს მიაღწევთ, მერე უკვე სულერთი ხდება.

ბეზილი : არა, ამას გამოფენაზე ვერ გავიტან, ძალიან ბევრი ჩემი რაღაც ჩავაქსოვე.

ლორდი ჰენრი: იმედი უნდა გაგიცრუო, ბეზილ, მაგრამ სულ არ გავხართ ერთმანეთს.

ბეზილი: რა თქმა უნდა, ჩვენ შორის არავითარი მსგავსება არ არის. პირიქით, ჩემთვისაც სამწუხარო იქნებოდა, დორიან გრეის რომ ვგავდე.

ლორდი ჰენრი: ესე იგი, დორიან გრეი ქვია?

ბეზილი: ჰო, თუმცა, შენთვის თქმას არ ვაპირებდი.

ლორდი ჰენრი: რატომ?

ბეზილი: თუ ვინმე ძალიან მიყვარს, მის სახელს არავის ვუმხელ. ასე მგონია, რომ ამით რაღაც ჩემთვის ძალიან ძვირფას ნაწილს ვუზიარებ ვიღაცას. თითქოს საიდუმლოს ვინახავ ჩემთვის. ალბათ, სულელი გგონივარ, არა?

ლორდი ჰენრი: სულაც არა ბეზილ. შენ გავიწყდება, რომ ცოლიანი ვარ. ქორწინების მთავარი ხიბლი კი ისაა, რომ ორივე მხარე იძულებულია, მოიტყუოს.

ბეზილი: როგორ ვერ ვიტან როცა ოჯახურ ცხოვრებაზე ასე ლაპარაკობ, ჰარი. დარწმუნებული ვარ შესანიშნავი ქმარი ხარ, მაგრამ შენი ღირსებების გრცხვენია. შენი ცინიზმი კი მხოლოდ პოზაა და მეტი არაფერი.

ლორდი ჰენრი: ბუნებრიობა ყველაზე ნამდვილი და ამავე დროს ყველაზე გამაღიზიანებელი პოზაა. შენ ეს მითხარი, რატომ არ გინდა დორიან გრეის პორტრეტის გამოფენა?

ბეზილი: მეშინია რომ ამით ჩემს საიდუმლოს გავამხელ...

ლორდი ჰენრი: ბეზილ, დამდალე...

ბეზილი: არ დამიჯერებ.

ლორდი ჰენრი: ყველაფერს ვიჯერებ, განსაკუთრებით - სრულიად დაუჯერებელ ამბებს. გისმენ.

ბეზილი: დორიან გრეი პირველად ექვსი თვის წინ ვნახე, ლედი ბრენდონის წვეულებაზე. როდესაც ჩვენ თვალები ერთმანეთს შეხვდა, მივხვდი, დორიანი იყო ადამიანი, რომელიც თუ მიუშვი, მთელ ცხოვრებას წაგართმევს. ოთახიდან გასვლა დავაპირე, მაგრამ მხარზე ხელი დამადო და მითხრა, ჩვენი გაცნობა ბედისწერა იყო.

ლორდი ჰენრი: რა თავხედი ყოფილა!

ბეზილი: ჰო, მერე ორივეს გაგვეცინა და იმ დღიდან მეგობრები ვართ.

ლორდი ჰენრი: კარგია, როცა მეგობრობა სიცილით იწყება. მთლად უკეთესია, თუ ამითვე დამთავრდება.

ბეზილი: შენ ნამდვილი მეგობრობის აზრი არ გესმის, ჰარი. საერთოდ ყველას მიმართ გულგრილი ხარ.

ლორდი ჰენრი: ნუ მაბრალებ, ბეზილ! ახლო მეგობრებად მე მხოლოდ იმათ ვთვლი, ვისაც კარგი გარეგნობა აქვს. ამხანაგებად იმათ ვარჩევ, ვისაც კარგი ხასიათი აქვს. მტრები კი ჭკვიანები მყავს. ხომ იცი, ყველაზე ფრთხილად ადამიანმა მტრები უნდა შეარჩიოს, სულელი მტერი რაში მჭირდება.

ბეზილი: -ესე იგი, შენი ამხანაგი გამოვდივარ, მაგ კლასიფიკაციის მიხედვით.

ლორდი ჰენრი: - შენ ამხანაგზე ბევრად მეტი ხარ, ბეზილ.

ბეზილი: - და მეგობარზე ბევრად ნაკლები. ალბათ, უფრო ძმა არა?

ლორდი ჰენრი: - რა დროს ჩემს ძმებზე ლაპარაკია. მოდი, დორიან გრეიზე მომიყევი. ხშირად ხვდები?

ბეზილი: ყოველდღე. სხვანაირად ვერ ვძლებ.

ლორდი ჰენრი: - მე მეგონა საკუთარი ხელოვნების გარდა არაფერი არ გაინტერესებდა.

ბეზილი: ჰო, მაგრამ ახლა დორიანი გადაიქცა მთელ ჩემს ხელოვნებად. როცა გვერდით მიზის, ისეთ უცნაურ ძალას ვგრძნობ, რასაც მთელი ცხოვრება ვეძებდი და ვერ ვპოულობდი.

ლორდი ჰენრი: - უნდა ვნახო!

ბეზილი: - დორიანი ჩემთვის მხოლოდ გარეგნული სილამაზე არაა, ხომ ხვდები. შენ შეიძლება მასში ვერაფერი განსაკუთრებული ვერ დაინახო.

ლორდი ჰენრი: - მაშინ გამოტყდი, რატომ არ გინდა გამოფენაზე მისი პორტრეტის გაგზავნა?

ბეზილი: - იმიტომ, რომ ჩემდა უნებურად ამ სურათში ისეთი სიყვარული ჩავაქსოვე, რაც მისთვის არასოდეს გამიმხელია. დორიანმა ეს არ იცის და ვერც ვერასოდეს გაიგებს, მაგრამ გამოფენაზე თუ გავიტან, სხვები დაინახავენ, აუცილებლად დაინახავენ. არ მინდა, ამდენი ხალხის წინაშე ჩემი საიდუმლო გავამხილო.

ლორდი ჰენრი: - მითხარი, დორიან გრეის ძალიან უყვარხარ?

ბეზილი: - მგონი, კი. თან სულ ვაქებ - ისეთ რაღაცეებს ვეუბნები, რასაც მერე ვნანობ. ზოგჯერ მეჩვენება, რომ სრულიად უგრძნობია, მგონი, სიამოვნებს, ტკივილს რომ მაყენებს. თავი ზაფხულის საღამოს პიჯაკის ჯიბეზე მისამაგრებელი ყვავილი მგონია.

ლორდი ჰენრი: - ზაფხულის დღეები საკმაოდ გრძელია, ბეზილ. შეიძლება შენ უფრო ძალე დაიღალო და მოგბეზრდეს, ვიდრე იმას.

ბეზილი: - სანამ ცოცხალი ვარ, ეგ არ მოხდება.

ლორდი ჰენრი: აუცილებლად უნდა გავიცნო შენი დორიან გრეი!

ბეზილი: - მირჩევნია, არასოდეს არ შეხვდე.

(დორიანი წინა პლანზე გამოდის)

ლორდი ჰენრი: სხვა გზა არ გაქვს, უნდა გამაცნო!

ბეზილი: დორიანი უბრალო ადამიანია. ნუ შეეცდები შენი გავლენის ქვეშ მოაქციო.

დორიანი: - ძალიან დაღლილი ვარ, ბეზილ. დღეს გაუნძრევლად ჯდომა გამიჭირდება. *(ამჩნევს ლორდ ჰენრის).* უკაცრავად, არ ვიცოდი, სტუმარი თუ გყავდა.

ბეზილი: - დორიან, გაიცანი, ლორდი ჰენრი უოტონი, ჩემი ძველი მეგობარი ოქსფორდიდან.

ლორდი ჰენრი: - სასიამოვნოა.

ბეზილი: - ჰარი, დღეს ამ პორტრეტის დამთავრებას ვაპირებდი, თუ არ გეწყინება, იქნებ დაგვეტოვო?

ლორდი ჰენრი: - წავიდე?

დორიანი: - არა, არ წახვიდეთ. ბეზილი ისევ ცუდ ხასიათზეა, მარტო ვერ გავუძლებ.

ლორდი ჰენრი: - *(ბეზილს)* წინააღმდეგი ხომ არ ხარ?

დორიანი: - ბეზილ, თუ ლორდი ჰენრი წავა, მეც წავალ.

ბეზილი: - თუ დორიანს ასე უნდა, დარჩი, ჰარი. დორიან, დაიკავე შენი ადგილი და არ გაინძრე. ჰენრისაც არ მიაქციო ყურადღება, თავის მეგობრებზე ცუდ გავლენას ახდენს.

(დორიანი ადის სტრიპტიზის პლატფორმაზე, ბეზილი ხატვას იწყებს)

დორიანი: - *(ლორდ ჰენრის)* მართლა?

ლორდი ჰენრი: კარგი გავლენა რომელია? ყველანაირი გავლენა უზნეობაა.

დორიანი - რატომ?

ლორდი ჰენრი - *(სიტყვებთან ერთად ახვევს კანაფს და აწვდის დორიანს, სცენის განმავლობაში თითო ნაფაზს არტყამენ, ერთმანეთს გადააწოდებენ)* იმიტომ, რომ გავლენის მოხდენა ადამიანზე ნიშნავს შენი საკუთარი სული მთლიანად მას გადასცე. ის აღარც საკუთარი გონებით ფიქრობს და აღარც საკუთარი გრძნობებითა და ვნებებით იწვის. ჩვენს დროში ხალხს საკუთარი თავის ეშინია. ყველას ავიწყდება, რომ პირველ რიგში საკუთარი თავის წინაშე ხარ ვალდებული.

ბეზილი: - *(ხატვით გართული)* დორიან, ნუ მოძრაობ.

ლორდი ჰენრი: - მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ თითოეული ადამიანი თავის ცხოვრებას თავის ნება-სურვილზე გაატარებდა, ნებისმიერი გრძნობის თავისუფლად გამოქვავებას შეძლებდა, ნებისმიერი აზრის, ფიქრის ან ოცნების განხორციელებას, მაგრამ დღეს ყველაზე თამამ ადამიანსაც კი საკუთარი თავის ემინია. და სწორედ ამ საკუთარი თავის უარყოფისთვის ვისჯებით. ასე არ არის?

დორიანი: - რას გულისხმობთ?

ლორდი ჰენრი - თქვენ, მისტერ გრეი, მართალია, ჯერ ახალგაზრდა ხართ, მაგრამ უკვე გაქვთ ის ვნებები, რომლებიც გამინებთ.

დორიანი: - ჰო..

ლორდი ჰენრი : - აზრები, რომლებიც გაფრთხობთ, ფიქრები, რომლებიც სირცხვილისგან გაწითლებთ...

დორიანი - დიახ...

ლორდი ჰენრი - თითოეული გრძნობა თუ სურვილი, რომლის ჩახშობასაც ვცდილობთ, სინამდვილეში მხოლოდ გვწამლავს. ცდუნების თავიდან ასაცილებლად ერთადერთი გზა არსებობს - დამორჩილება. ჩვენს დროში ადამიანების უმეტესობა ისე იხოცება, ჩვეულებრივი შეგრძნებების მეტი არაფერი რომ არ გამოუცდიათ. ადამიანები ძალიან გვიან ხვდებიან ხოლმე, რომ ერთადერთი რასაც ისინი არასოდეს ნანობენ, ახალგაზრდობაში ჩადენილი შეცდომებია.

დორიანი: ერთი წუთით, უნდა დავფიქრდე. ან, რა ვიცი, იქნებ ამაზე ფიქრი საერთოდ არ ღირს.

ლორდი ჰენრი: - რამ შეგაშინათ?

დორიანი: - თქვენმა სიტყვებმა.

ლორდი ჰენრი: - შენობით მომმართე. ჩემმა სიტყვებმა?

დორიანი: - ბეზილ, ცოტა ხნით გარეთ გავალ, ბაღში, თორემ ჰაერი არ მყოფნის.

ბეზილი: - რა თქმა უნდა. არ ვიცი, ჰარი რას გეუბნებოდა, ალბათ კომპლიმენტებით აგავსო. ერთი სიტყვაც არ დაუჯერო, რასაც ამბობს.

დორიანი: - ჯობდა, საერთოდ არაფერი გამეგონა.

ლორდი ჰენრი : - ზუსტად ვიცი, რომ ჩემი ნათქვამი ყველა სიტყვის გჯერათ. ბაღში მეც წამოგყვებით.

ბეზილი: - უჩემოდ წადით. მე ხატვას გავაგრძელებ.

(ბეზილი გადის)

დორიანი: - მე მგონი, შენი მეშინია.

ლორდი ჰენრი: შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ და ცოტა მშურს შენი. ახალგაზრდობა ერთადერთი რამაა, რასაც უნდა გაუფრთხილდე.

დორიანი: - ვერ გავიგე.

ლორდი ჰენრი: - რა თქმა უნდა, ახლა ვერ გაიგებ. მაგრამ როცა მოხუცდები, როცა სახე დაგინაოჭდება და დამახინჯდება, აი მაშინ გაიგებ. ახლა სადაც არ უნდა წახვიდე, შენი გარეგნობით ყველას მოხიბლავ. მაგრამ, სულ ასე იქნება? გელიმება? როცა ამ ყველაფერს დაკარგავ, აღარ გაგელიმება. სულ რამდენიმე წელი გაქვს, უნაკლო და სავსე ცხოვრებით რომ იცხოვრო. სანამ ახალგაზრდა ხარ, უნდა დააფასო ახალგაზრდობა.

დორიანი: - ეგ როგორ?

ლორდი ჰენრი: - არაფრის არ შეგეშინდეს. ყოველთვის ახალი შეგრძნებები ეძებე. მერე გაგახსენდება და ინატრებ ყველა იმ ცოდვას, რისი ჩადენაც ახალგაზრდობაში ვერ მოასწარი. ნამდვილი ტრაგედია იქნება თუ შენს თავს ვერაფერში გამოიყენებ. ამქვეყნად არაფერი არ არსებობს ახალგაზრდობაზე უფრო ღირებული!

(შემოდის ბეზილი)

ბეზილი: - დავამთავრე! როგორც იქნა დავამთავრე! შემოდით, ნახეთ.

ლორდი ჰენრი: - კმაყოფილი ხართ რომ გამიცანით, მისტერ გრეი?

დორიანი: - რა თქმა უნდა.

ბეზილი - შეხედეთ მეგობრებო, ეს შედეგია!

(ყველანი წარმოსახვით პორტრეტს შეჰყურებენ)

ლორდი ჰენრი: - გადატრიალებაა თანამედროვე მხატვრობაში. მისტერ გრეი, მოდით და საკუთარი თავით დატკბით.

ბეზილი - *(დორიანის სიჩუმით გულნატკენი)* არ მოგწონს?

ლორდი ჰენრი: - რა ღირს? უნდა ვიყიდო.

ბეზილი: - ჩემი არაა, დორიანს ეკუთვნის.

დორიანი: - ცუდია! მე დავბერდები და დავმახინჯდები, ეს სურათი კი არასოდეს არ დაბერდება, რატომ არ შეიძლება, პირიქით მოხდეს - მე მუდამ ახალგაზრდა დავრჩე, სურათი კი დაბერდეს...

ბეზილი: - დორიან...

დორიანი: - კიდევ რამდენ ხანს გეყვარები? ალბათ სანამ პირველი ნაოჭი გამიჩნდება. ლორდი ჰენრი მართალია, ამქვეყნად არაფერი ღირებული არ არსებობს ახალგაზრდობის გარდა. როცა დაბერებას დავიწყებ თავს მოვიკლავ.

ბეზილი: - ასე ნუ ლაპარაკობ.

დორიანი: - რატომ დახატე ეს პორტრეტი? რატომ უნდა შეინარჩუნოს მან ის, რასაც მე აუცილებლად დავკარგავ?

ბეზილი: - სულ შენი ბრალია, ჰარი.

ლორდი ჰენრი : - ეს არის ნამდვილი დორიან გერი.. მე არაფერ შუაში ვარ.

ბეზილი: - ჩემ ორ საუკეთესო მეგობარს ვერ ვეკამათები. თქვენ მე ჩემი საუკეთესო ნახატი შემადგულეთ. ახლავე გავანადგურებ.

(ბეზილი იღებს დანას, დორიანი აჩერებს)

დორიანი: - ბეზილ! არ მოკლა!

ლორდი ჰენრი: - დამითმე ეს სურათი.

ბეზილი: - სურათი შენია, დორიან.

ლორდი ჰენრი: - მომბეზრდა ამ სისულელის ყურება. სადამოს კლუბში ხომ არ წავიდეთ?

დორიანი: - მე წამოვალ თქვენთან ერთად, ლორდი ჰენრი.

ბეზილი: - არა, დორიან, ჩემთან დარჩი და აქ ვივახშმოთ.

დორიანი: - *(ყოყმანობს. ლორდი ჰენრის შეხედავს)* უნდა წავიდე, ბეზილ.

ბეზილი: - კარგი. ნახვამდის დორიან. ჰარი, არ დაგავიწყდეს, რაც გთხოვე.

ლორდი ჰენრი: - უკვე დამავიწყდა.

ბეზილი: - იცოდე, გენდობი.

(დორიანი და ლორდი ჰენრი გადიან.)

ბეზილი:

მარიხუანა - აქტიური ნივთიერება- ტეტრაჰიდროკანაბინოლი. მარიხუანას მოწევის შედეგად წითლდება სკლერები, ფართოვდება სისხლძარღვები, ქვეითდება არტერიული წნევა, შეინიშნება გულისცემისა და სუნთქვის აჩქარება. ჩვეულებრივ იწყება ხველა, ითრგუნება ღვიძლის ფერმენტების აქტივობა, რასაც შედეგად მოსდევს ღვიძლის ფუნქციის დაქვეითება. პრეპარატის მოქმედება იწყება მოწევიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, ლორწოვანი გარსების გაშრობით, ძლიერი წყურვილისა და შიმშილის შეგრძნებით, შესაძლებელია ყურებში შუილი, თავბრუსხვევა, თავის ტკივილი, სიცხის ან სიცივის შეგრძნება. დიდი დოზებით სისტემატიურმა მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს ქრონიკული ფსიქოზი, ბოდვა, ილუზიები, ჰალუცინაციები, პანიკა, აგრესიულობა.

სცენა 2

(დორიანი მარტოა კლუბში, სვამს. შემოდის ლორდი ჰენრი, თან ალანი მოჰყავს)

ლორდი ჰენრი: - ძალიან დიდი ბოდიში, დორიან, ასე რომ დავაგვიანეთ. გზაზე ჩემი ცოლი შემხვდა და იძულებული გავხდი გამოვლაპარაკებოდი.

ალანი: - კარგი რა, ჰარი. ძალიან საყვარელი ქალია. ბოლოს და ბოლოს, ქიმიკოსი ვარ და კარგად ვხედავ, რომ თქვენ ორს შორის ნამდვილად დიდი დოზით ქიმიია.

ლორდი ჰენრი: - არასოდეს დაქორწინდეთ! კაცები დადლილობისგან ქორწინდებიან, ქალები კი ცნობისმოყვარეობის გამო. საბოლოოდ ორივე მხარეს იმედი უცრუვდება.

დორიანი: - ცოლს არასოდეს მოვიყვან. მაგრამ საშინლად შეყვარებული ვარ.

ალანი: - შეყვარებული? ვისზე ხარ შეყვარებული?

დორიანი: - მსახიობზე.

ლორდი ჰენრი: - რა ბანალურია...

დორიანი: - ნანახი რომ გყავდეს, ასე არ იტყოდი.

ალანი: - ვინაა?

დორიანი: - სიბილ ვეინი ქვია.

ალანი: - არ გამიგია.

დორიანი: - ჯერ არ გაგიგია. ერთ დღესაც გაიგებ, დამიჯერე, გენიოსია.

ლორდი ჰენრი: - ჩემო ძვირფასო ბიჭო, არცერთი ქალი არაა გენიოსი. საკუთარი გამოცდილებით ვიტყვი, რომ ლონდონში მხოლოდ ხუთი ქალია, რომელზე ლაპარაკიც ღირს და აქედან ორი ისეთია, წესიერ საზოგადოებაში არ შეიშვება.

ალანი: - კი მაგრამ ვინაა ეს გოგო? სად იპოვე?

დორიანი: - ერთ საღამოს სახლიდან გავედი, გართობა მინდოდა...და აი სწორედ მაშინ ვიპოვე: პატარა თეატრი, ჩაბნელებულ ქუჩაზე. შევედი... შიგნით ქალები ლუდს სვამდნენ და საშინლად ბევრ თხილს ჭამდნენ. ვიფიქრე, აქ რა ჯანდაბას ვაკეთებ-მეთქი, როცა აფიშა დავინახე - ოსკარ უაილდი „სალომე“ - ყველა დანარჩენი მსახიობი საშინელი იყო, მაგრამ სალომე... ისეთი ლამაზი იყო, კინაღამ ვიტირე. ჰარი, რატომ არ მითხარი, რომ ერთადერთი ქალი ვისი სიყვარულიც ღირს, მსახიობია?

ლორდი ჰენრი: - იმიტომ რომ ეგეთი ძალიან ბევრი მიყვარდა.

დორიანი: - ყოველ საღამოს დავდიოდი თეატრში - მესამე ღამეს როზალინდა ითამაშა და თავი ვეღარ შევიკავე, კულისებში შევედი.

(დორიანი ხვდება სიბილს კულისებში, დაექსტაზებულია. სიბილს:)

შენ მსახიობად ხარ დაბადებული. შენი მონა ვარ. როცა გიყურებდი, სულ დამავიწყდა რომ ლონდონში ვიყავი, ამის მაგივრად ვიყავი ტყეში, რომელშიც აქამდე კაციშვილს ფეხი არ დაუდგამს. როცა თვალებს ვხუჭავ, შენს სახეს ვხედავ. თავიდან ფეხებამდე ღვთაებრივი ხარ!

სიბილი: - უფლისწულს გავხარ. მომხიბვლელ უფლისწულს დაგიძახებ ხოლმე.

დორიანი: - სულაც არ ვარ უფლისწული.

(ერთმანეთს ეხვევიან)

სიბილი: - უფლისწული ხარ და როგორღაც მიპოვე კიდეც.

დორიანი: - რა გქვია?

სიბილი: - სიბილ ვეინი.

დორიანი: - შესანიშნავია. მე კი...

სიბილი: - შენ ჩემი ჩემი მომხიბვლელი უფლისწული ხარ. მხოლოდ ეს მინდა ვიცოდე.

ალანი: *ექსტაზი - მეთილენდიოქსიამფეტამინი - სინთეტიკური ნივთიერებაა, რომელსაც გააჩნია როგორც ჰალუცინოგენური, ისე აღმგზნები ეფექტი. მისი ქიმიური დამუშავების შედეგად მიიღება ფერადი აბები და კაფსულები. ექსტაზის აქვს აღმგზნები და ჰალუცინოგენური მოქმედება, რაც ვლინდება: - სიყვარულის და ბედნიერების შეგრძნებაში; იწვევს ასევე გულისცემის გახშირებას, ტემპერატურისა და წნევის მატებას, ოფლიანობას, მადის დაკარგვას. ხშირია გულისრევა, შფოთვა. ზოგ შემთხვევაში იწვევს უკრიტიკო თვითდაჯერებულობას, ყველა ს მიმართ კეთილგანწყობისა და სიახლოვის განცდას. ეს ეფექტი ხშირად ხდება შემთხვევითი, დაუცველი სქესობრივი კავშირის მიზეზი. დიდი რაოდენობით ექსტაზი იწვევს სხეულის ტემპერატურისა და არტერიული წნევის ზრდას სიცოცხლისთვის საშიშ დონემდე, კრუნჩხვებს, ლებინებას, არაადეკვატურ ქცევებს, ჰალუცინაციებს. ექსტაზის მოქმედების დასრულების შემდეგ დგება ე.წ. „გამოსვლის ფაზა“, რომლის დროსაც შესაძლებელია განვითარდეს უძილობა, დეპრესია, შფოთვა, პარანოია.*

დორიანი - დღემდე არ ვიცი რატომ გავედი სახლიდან იმ საღამოს. არადა რომ არ გავსულიყავი, ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდ სიყვარულს დაგვარგავდი.

ლორდი ჰენრი: - შენ ყოველთვის ეყვარები ვინმეს და ყოველთვის იქნები შეყვარებული თვითონ სიყვარულზე.

ალანი: - როგორც ჩანს ძალიან ჭკვიანი გოგოა.

დორიანი: - ჯობდა, საერთოდ არაფერი მეთქვა სიბილზე.

ლორდი ჰენრი: - გვიანია, ზუსტად ვიცი, რომ მთელი ცხოვრება ყველაფერს მომიყვები, რასაც გააკეთებ.

დორიანი: - ხო, ალბათ მართალი ხარ. ძალიან დიდი გავლენა გაქვს ჩემზე. თუ ოდესმე რამე დანაშაულს ჩავიდენ, ალბათ შენთან მოვალ და ვაღიარებ. ვიცი, რომ გამიგებ.

ალანი: - ახლა ვხვდები, ამ ბოლო დროს ჩვენთან იშვიათად რატომ სადილობ.

დორიანი: - თავს ვერ ვიკავებ, სულ მინდა ვუყურო, როგორ თამაშობს.

ალანი: - ამაღამ მაინც წამოხვალ ჩვენთან ერთად?

დორიანი: - ვერა. ამაღამ ჯულიეტას თამაშობს და ხვალ სალომეს.

ლორდი ჰენრი: - რა თქვი, რა ქვიაო? აა, ხო - სიბილ ვეინს როდის ითამაშებს?

დორიანი - არასდროს! მიყვარს და რაღაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა ვაიძულო შემიყვაროს! ის ჩემი შანსია, შეიძლება ერთადერთი შანსი, რომ წრფელი სიყვარული შევიგრძნო, რომელიც სამუდამოდ გაგრძელდება. ჰარი, შენ ყველა საიდუმლო იცი. მითხარი, თავი როგორ მოვაწონო?

ლორდი ჰენრი: - როგორ განსხვავდები იმ მორცხვი ბიჭისგან, რომელიც ბეზილის სახელოსნოში გავიცანი.

დორიანი: - ორივენი უნდა წამოხვიდეთ ერთხელ და ნახოთ როგორ თამაშობს.

ალანი: - როდის წამოვიდეთ?

დორიანი: - ხვალ.

ლორდი ჰენრი - ბეზილს შენ დაპატიჟებ თუ მე ვუთხრა?

დორიანი: - რამდენი ხანია, არ მინახავს, აჯობებს, შენ მიწერო. მრცხვენია, ამას რომ ვამბობ, მაგრამ ამ ბოლო დროს სულ ჭკუას მასწავლის და თავი მომაბეზრა. უნდა წავიდე. ჯულიეტა მელოდება.

ალანი: - გაგაცილებ.

დორიანი (ჰენრის) - ხვალინდელი არ დაგავიწყდეს.

ლორდი ჰენრი - არავითარ შემთხვევაში.

სცენა 3

(ჯეიმსი და სიბილი. სიბილი ცეკვავს პლატფორმაზე)

ჯეიმსი: - გეყოფა!

სიბილი: - ბედნიერი ვარ, ძალიან ბედნიერი და შენც ბედნიერი უნდა იყო, შე სამაგელო ბებერო დათვო.

ჯეიმსი: - ბედნიერი?! ამდენ ვალს ვინ გადაიხდის მერე?

სიბილი: - ფულს რა მნიშვნელობა აქვს? სიყვარულია ყველაფერი. სიყვარული ფულზე მეტია. არასოდეს არაფერი არ დაგვჭირდება. მომხიბვლელი უფლისწული იზრუნებს აწი ჩვენზე.

ჯეიმსი: - სიბილ, გეყოფა! ბავშვი ხომ აღარა ხარ, ვერ ხვდები, რა მდგომარეობაში ვართ?

სიბილი: - ცოტა მოეშვი, ჯიმ.

ჯეიმსი: - რაღაც უნდა გითხრა.

სიბილი: - მაშინ წამო გავისეირნოთ.

ჯეიმსი - არა, არანაირი სეირნობა. დაჯექი, სიბილ, დაჯექი და ერთხელ მაინც მომისმინე. *(სიბილი ჯდება)* ავსტრალიაში ვაპირებ გამგზავრებას.

სიბილი: - რატომ?

ჯეიმსი: - დღეს კონტრაქტს მოვაწერე ხელი. კარგი ხელფასი მექნება, ვალებს გავისტუმრებ და აქ მუშაობა აღარ მოგიწევს. ვერ ვიტან აქაურობას.

სიბილი: - სისულელეა, ჯიმ.

ჯეიმსი: - შენ აზრზე არ ხარ, ხალხი რას ლაპარაკობს!

სიბილი: - მერე, ამის გამო სადღაც უნდა გადასახლდე?

ჯეიმსი: - მხოლოდ იქამდე, სანამ ფულს არ შევაგროვებ.

სიბილი: - ავსტრალიაში რა გინდა? აქ ვერაფერს ვერ იშოვი?

ჯეიმსი: - ნუ მეკამათები, უკვე გადავწყვიტე. ხვალ დილით მივდივარ.

სიბილი: - ხვალ?

ჯეიმსი: - ხო. *(სიბილი ჯეიმსს ეხუტება)* სიბილ, როცა წავალ მინდა, რომ თვითონ მიხედო თავს და იმ თავხედს შეეშვა...

სიბილი: - რას ერჩი?

ჯეიმსი: - თავისი სახელიც კი არ უთქვამს შენთვის.

სიბილი: - არა, მაგრამ ეგ ჩვენი თამაშია. მგონი არისტოკრატია და თუ მდიდარიცაა, რატომ არ უნდა ვიყო მასთან ერთად?

ჯეიმსი: - იმიტომ რომ კარგს არაფერს მოგიტანს. შენი შესაფერისი არაა.

სიბილი: - მიყვარს.

ჯეიმსი - სიბილ, აზრზე მოდი!

სიბილი: - ჯიმ, ერთ დღეს შენც შეგიყვარდება ვინმე. მაშინ გაიგებ ეს რა არის. შენ სხვა სამყაროში მიდიხარ და მე ჩემი უკვე ვიპოვე.

ჯეიმსი: - გეფიცები, ეგ კაცი თუ რამეს დაგიშავებს, საკუთარი ხელით დავახრჩობ!

(სიბილი ეხუტება ჯეიმსს)

სცენა 4

(ჰენრი, ალანი, ბეზილი)

ბეზილი: - დორიანი დაინიშნა?

ალანი: - შეუძლებელია!

ლორდი ჰენრი: - სიმართლეა. ვილაც მსახიობ ქალზე. მისი სახელი დამავიწყდა.

ბეზილი: - არ მჯერა. დორიანი საკმაოდ ჭკვიანი ბიჭია, ქორწინება სერიოზული ნაბიჯია...

ალანი: - ცუდი დრო შეურჩევია ცოლის შესართავად, სისულელეს იზამს.

ლორდი ჰენრი: - თუ გინდა რომ იმ გოგოზე მართლა დაქორწინდეს, მიდი და ეგ უთხარი. რა სისულელესაც არ უნდა ჩადიოდეს ადამიანი, ყოველთვის კეთილშობილი განზრახვა ამოძრავებს.

ბეზილი: - იმედია კარგი გოგოა, ჰარი, სულ არ მინდა დორიანი ვინმე ისეთ ქალს ჩაუვარდეს ხელში, ვინც გაანადგურებს.

ლორდი ჰენრი: - გოგო მართლაც კარგია, მეტიც, ძალიან ლამაზია. ყოველ შემთხვევაში დორიანი ასე ამბობს. ეხლა კი მნიშვნელოვანი ამბავი: ამ საღამოს მისი სპექტაკლის სანახავად მივდივართ.

ბეზილი: - სერიოზულად ამბობ?

ლორდი ჰენრი: - სრულიად სერიოზულად.

ბეზილი: - და შენ ეს მოგწონს? შეუძლებელია მოგწონდეს.

ლორდი ჰენრი: - არასოდეს არაფერს ვიწონებ ან პირიქით, არ ვიწუნებ. თუ ადამიანის შინაგანი სამყარო მაინტერესებს, არ აქვს მნიშვნელობა ვინაა, მისით მაინც აღფრთოვანებული ვარ.

ალანი: - მეგონა ქორწინება გეზიზღებოდა.

ლორდი ჰენრი - თავისთავად. მაგრამ ქორწინება თავის მხრივ ღირებული რამაა. რაც არ უნდა თქვან ქორწინების საწინააღმდეგოდ, ის მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილებაა. იმედი მაქვს დორიანი იმ გოგოს ცოლად მოიყვანს. მთელი ექვსი თვე გააღმერთებს და მერე ვინმეს გულისთვის მიატოვებს. შესანიშნავი გაკვეთილი იქნებოდა.

ალანი - ჰარი, ამას სერიოზულად არ ამბობ.

ბეზილი - თუ დორიანს ცხოვრება დაენგრევა, ეს შენზე მეტად არავის დაამწუხრებს.

ლორდი ჰენრი - ზუსტად იმას ვამბობ რასაც ვფიქრობ. ცხოვრების დანგრევას რაც შეეხება, არავის ცხოვრება ისე არ ინგრევა როგორც იმის, ვისი განვითარებაც ერთ ადგილზე ჩერდება.

(დორიანი შემოდის.)

დორიანი: - ჩემო ძვირფასო მეგობრებო! მომილოცეთ! რა თქმა უნდა, ძალიან სწრაფად მოხდა, მაგრამ ყველაფერი შესანიშნავი ცხოვრებაში ხომ მოულოდნელად ხდება. მგონი ის ქალი ვიპოვე, მთელი ცხოვრება ვეძებდი.

ალანი: - იმედი მაქვს ბედნიერი იქნები, დორიან.

ლორდი ჰენრი: - მოდი, მოგვიყევი როგორ მოხდა.

დორიანი: - გუშინ საღამოს სიბილი ჯულიეტას თამაშობდა. ასე დახვეწილად არასოდეს უთამაშია. შესანიშნავი მსახიობია. წარმოდგენის დასრულების შემდეგ კულისებში შევედი და დაველაპარაკე... ვაკოცეთ ერთმანეთს.

ლორდი ჰენრი: - და ამ დროს ხელის სთხოვე?

დორიანი: - არა, უბრალოდ, ვუთხარი, რომ მიყვარს და მან მიპასუხა, შენი ცოლობის ღირსი არა ვარო.

ლორდი ჰენრი: - ქალები საოცრად პრაქტიკულები არიან.

დორიანი: - შენ ისევ დასცინი ქორწინებას... მაგრამ მე მიყვარს სიბილი ვეინი. მისი ნდობა თავდაჯერებას მმატებს, უკეთესი ადამიანი ვხდები. როცა მასთან ვარ, მისი შეხება მაღიწყებს ყველაფერს, მათ შორის შენც და შენს თეორიებსაც. ახლა მესმის რატომ გვთვლიან ასეთ უზნეოდ.

ალანი: - მართლაც ასეა.

ლორდი ჰენრი: - საშინელებაა როცა ადამიანები ერთმანეთის ზურგს უკან ლაპარაკობენ და მით უმეტეს, სიმართლეს. როცა ბედნიერები ვართ, ყოველთვის კარგი ადამიანები ვხდებით, მაგრამ როცა კარგი ადამიანები ვართ, ბედნიერები ყოველთვის არ ვართ.

დორიანი - მე ვიცი რა არის ბედნიერება - როცა ვინმეს აღმერთებ.

ბეზილი: - აბსოლუტური სიმართლეა, დორიან.

ლორდი ჰენრი: - აბსოლუტური სიმართლე ამქვეყნად არ არსებობს.

დორიანი: - უნდა აღიარო, ჰარი, ქალები კაცებს სიცოცხლეს ჩუქნიან.

ლორდი ჰენრი: - ქალები შთაგონებას გვაწვდიან, რომ შედეგები შევქმნათ, და ამავე დროს ცდილობენ, წაგვართვან ამის შესაძლებლობა.

დორიანი: - ჰარი, როგორი საზიზღარი ხარ! არ ვიცი, ასე რატომ მომწონხარ.

ლორდი ჰენრი: - მე ყველა იმ ცოდვის განსახიერება ვარ, რომელიც არ ჩაგიდენია და გამბედაობა არასოდეს გეყოფა, რომ ჩაიდინო.

დორიანი: - წამოდი, თეატრში წავიდეთ. როცა სიბილი სცენაზე გამოვა, სულ სხვანაირ სამყაროს დაგანახებს. იმას, რომელზეც წარმოდგენა არ გაქვს.

ლორდი ჰენრი: - მე ყველაფერი უკვე ნანახი მაქვს, თუმცა შენს შესანიშნავ გოგოს ნამდვილად შეუძლია გამაოცოს. მიყვარს როცა სცენაზე თამაშობენ. გაცილებით უფრო რეალურია, ვიდრე ცხოვრება. წავიდეთ.

სიბილი: *LSD არის ლიზერგინული მჟავის დიეთილამიდი. იგი ფსიქოაქტიური საშუალებაა, რომელიც ჰალუცინაციებს, დროისა და სივრცის აღქმის შეფერხებასა და დამახინჯებას, აგრეთვე ემოციურ განცდებსა და აზროვნების აშლას იწვევს, რაც ინტენსიურობით ფსიქოზთან დგას ახლოს. LSD-ს მომხმარებელი მის ეფექტს გრძნობს მიღებიდან 30-90 წუთის შემდეგ. ნარკოტიკის ფიზიკური ზემოქმედება მოიცავს შემდეგ ნიშნებს: გაფართოებული გულები, სხეულის მომატებული ტემპერატურა, გულისცემის გახშირება, წნევის მომატება, ოფლიანობა, მადის დაკარგვა, უძილობა, სისუსტე და პირის სიმშრალე. LSD-ს მომხმარებლები ასევე ხშირად უჩივიან მგრძნობელობის დაკარგვას, სისუსტეს, კანკალს და გულისრევას. არსებობს ორი გრძელვადიანი დარღვევა, რომელიც უკავშირდება LSD-ს მოხმარებას, ესენია: მუდმივი ფსიქოზი და რეალობის აღქმის დარღვევა.*

სცენა 5

(კაცები კლუბში შედიან.)

ლორდი ჰენრი *(საოპერო დურბინდში იყურება)* - შესანიშნავი ადგილია, აქ მართლა შეიძლება ღვთაებრივ საწყისებს ეზიარო.

დორიანი: აი, ნახავთ, ეს ჩვეულებრივი ხალხი როგორ იცვლება, როცა სიბილი სცენაზე გამოდის, ზოგი ტირის, ზოგი იცინის - გააჩნია, სიბილი რას აკეთებს. თითქოს აჯადოებს ამათ...

ბეზილი - თუ ამ გოგოს შეუძლია უზნეო და მახინჯი ადამიანების ცხოვრებაში სილამაზე შეიტანოს, მაშინ მართლა უნდა გააღმერთო.

დორიანი: - ვიცოდი, რომ გამიგებდი, ბეზილ. როცა ფარდა გაიხსნება, შენ დაინახავ ქალს, რომელსაც ყველაფერს მივცემ, რაც საუკეთესო გამაჩნია.

(სიბილი სცენაზე ჩნდება. დორიანი, ბეზილი, ალანი და ლორდი ჰენრი ხმამაღლა უკრავენ ტაშს.)

ლორდი ჰენრი - შესანიშნავია! შესანიშნავი!

(სიბილი სცენაზე გამოვა, კითხულობს სალომეს მონოლოგს, ყალბად)

სიბილი: აჰა, შენ მე არ დამანებე ბაგე კოცნისათვის, იოქანაან. კარგი, ახლა მე ვაკოცებ მას. მე დავკებ მას კბილებით, როგორც კბენენ მწიფე ნაყოფს. დიახ, მე ვაკოცებ შენს ბაგეს, იოქანაან. განა არა ვთქვი? ხომ ვთქვი! და აი ახლა ვაკოცებ. მაგრამ რად არ მიყურებ, იოქანაან. შენი თვალები საშინელი, შენი თვალები სავსენი მრისხანებითა და გესლით, ახლა დახუჭულან. რად დაიხუჭნენ? აახილე თვალები შენი, ასწიე შენი წმაწამები, იოქანაან. რად არ მიცქერი? გეშინია ჩემი და არ მიყურებ, იოქანაან? შენი ენა კი, როგორც გველი წითელი, შხამის მდენი, ახლა სდუმს, ახლა არაფერს ამბობს, იოქანაან, ის წითელი იქედნე, რომელმაც შხამით შეურაცხმყო. განა საკვირველი არ არის? როგორ მოხდა, რომ ეს წითელი იქედნე აღარ ირხევა? შენ არ მომინდომე, იოქანაან, შენ მომიშორე. შენ არცხვენდი ჩემს სახელს: შენ მექცეოდი როგორც უნამუსოს, როგორც კახპას - მე, სალომეს, ჰეროდეას ასულს, იუდეის მეფის ასულს. ახლა კი, იოქანაან, ცოცხალი ვარ, შენ მკვდარი, შენი თავი მეკუთვნის მე. შემძლია მოვექცე, როგორც მომესურვება. შემძლია ძაღლებს გადავუგდო და ფრინველებს ჰაერში - რაც ძაღლებს გადაურჩებათ, ფრინველები დაჰკორტნიან. აჰა! იოქანაან! იოქანაან! შენ იყავი ერთადერთი ადამიანი, რომელიც მიყვარდა, სხვა ყველა მეზიზღება. მაგრამ შენ, შენ იყავი ლამაზი, შენი ტანი ტანი იყო ვითარცა სვეტი სპილოს ძვლისა ვერცხლის კვარცხლბეკზე შემდგარი. ვითარცა ბალი აღსავსე მტრედებითა და ვერცხლის ზამზახებით. იგი იყო ვითარცა კოშკი ვერცხლისა შემკობილი სპილოს ძვლის ფარებით. არაფერი იყო ამქვეყნად უთეთრესი შენი ტანისა. არაფერი იყო ქვეყნად უშავესი შენი თმისა. მთელ ქვეყანაზე არაფერი იყო უწითლესი შენი ბაგისა. ხმა შენი იყო სამსხვერპლო ჭურჭელი, უცნაურ სურნელებათა გამომცემი, და ოდეს მიმზერდი, მესმოდა უცნაური მუსიკა. შენ კი, რად არ მიმზერდი, იოქანაან! ხელსბდა გმობას მოაფარე შენი სახე. თვალები აიხვიე, როგორც მან, ვისაც საკუთარი ღმერთის ხივლა უნდოდა. შენ, მართალია, იხილე ღმერთი შენი, იოქანაან, მაგრამ მე არასოდეს არ გინახივარ. რომ გენახე, შემიყვარებდი. მე გნახე, იოქანაან, და შემიყვარდი. მე ჯერ კიდევ მიყვარხარ, იოქანაან. მხოლოდ შენ ერთი. შენი სილამაზე მწყურია! შენი ტანი მინდა.

ვერცა ღვინო, ვერცა ნაყოფნი მოსპობენ ჩემს სურვილს. რაღა ვქნა ახლა, იოქანაან? ვერც მდინარენი, ვერც დიი წყლები ვერ ჩააქრობენ ვნებას ჩემსას. მეფის ასული ვიყავ - შენ შემოდულე. ქალწული ვიყავ - შენ წამართვი ქალწულობა. უბიწო ვიყავ - შენ აანთე ცეცხლი ჩემს ძარღვებში. აჰ! აჰ! რად არ შემომხედე, იოქანაან! რომ დაგენახე, შემიყვარებდი! მე ვიცი, შენ შემიყვარებდი, იოქანაან. რამეთუ იდუმალეობა სიყვარულისა მეტია, ვიდრე იდუმალეობა სიკვდილისა. მხოლოდ სიყვარულს უნდა უმზირო ადამიანმა, იოქანაან!

(ლორდი ჰენრი, ალანი, ბეზილი ნაწილს უსმენენ და სათითაოდ გადიან. რჩება მხოლოდ დორიანი სიბილის წინაშე. სიბილი ასრულებს მონოლოგს და დორიანთან ჩამოდის)

სიბილი: - ჩემი მომხიბვლელი უფლისწული ბოლომდე დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცუდად ვითამაშე დღეს?

დორიანი: - საშინლად. ავად ხარ? ვერ წარმოიდგენ, რა გადავიტანე.

სიბილი: - ჩემო ძვირფასო, ხომ მიხვდი?

დორიანი: - რას?

სიბილი: - რატომ ვიყავი ასეთი ცუდი დღეს. რატომ ვედარასოდეს ვედარ ვითამაშებ კარგად.

დორიანი: - მე მგონი, მართლა ავად ხარ. როცა ავად ხარ, არ უნდა ითამაშო ხოლმე, სასაცილოდ გამოიყურები. ჩემს მეგობრებს საშინლად არ მოეწონე. არც მე.

სიბილი: - სანამ შენ გაგიცნობდი, თამაში ჩემი ერთადერთი რეალობა იყო. დეკორაცია ჩემი სამყარო იყო. ჩვეულებრივი ადამიანები, ვინც ჩემთან ერთად თამაშობდნენ, ღვთაებრივებად მეჩვენებოდნენ. მერე შენ მოხვედი, ჩემი სიყვარული და ჩემი სული ტყვეობისგან იხსენი. დღეს კი კარგად დავინახე ის სიცარიელე და სიყალბე, რაშიც ვთამაშობდი. ჩემი სიტყვები ყალბი იყო და არ გამოხატავდა იმას, რისი თქმაც მინდოდა. შენ მე რაღაც დიდი მაჩუქე, ამასთან შედარებით ხელოვნება მხოლოდ ანარეკლია. შენ დამანახე, რა არის ნამდვილი სიყვარული. ჩემო მომხიბვლელო უფლისწულო! წამიყვანე შენთან ერთად! ვერ ვიტან სცენას, მომბეზრდა.

დორიანი: - მე შენ იმიტომ მიყვარდი, რომ შესანიშნავი მსახიობი იყავი, მაგრამ ყველაფერი წყალში გადაყარე. სულელი ქალი ხარ. მეც სულელი ვიყავი, შენ რომ მიყვარდი! მორჩა, ვერასოდეს ვერ მნახავ.

სიბილი: - არა! ასე ნუ ლაპარაკობ!

დორიანი: - რა ცოტა გცოდნია სიყვარულზე, თუ მართლა გგონია, რომ ხელოვნებას აზიანებს. მაგ შენი ხელოვნების გარეშე არაფერი არა ხარ! უნიჭო ლამაზი მსახიობი!

სიბილი: - შენ ამას სერიოზულად არ ამბობ. მეთამაშები!

დორიანი: - გეთამაშები? ეგ შენ გააკეთე, კარგად გამოგდის.

სიბილი: - სულ შენზე ვფიქრობდი...

(სიბილი დორიანს უახლოვდება და მკლავზე ეხება. დორიანი ხელს კრავს და ძირს დააგდებს)

დორიანი: - არ შემეხო!

სიბილი: - გთხოვ, არ მიმატოვო. მართალი ხარ. ბოდიში რომ ცუდად ვითამაშე. გპირდები გამოვასწორებ. არ მიმატოვო!

დორიანი: - როცა ვიღაც აღარ გიყვარს, ყოველთვის სასაცილო გრძნობა გიჩნდება. თუ გინდა, უგულოდ ჩამთვალე, მაგრამ შენი დანახვა აღარ შემიძლია.

(დორიანი გადის.)

ლორდი ჰენრი: *ოპიუმი - ყაყაჩოს ცრემლები - ძლიერი დამოკიდებულების გამომწვევი არასინთეტიკური ნარკოტიკია, რომელიც მიიღება ყაყაჩოსაგან. ოპიუმის შემცველი ყაყაჩო ბევრი სხვა ნარკოტიკის წყაროა - მათ შორის, მორფინის, კოდეინისა და ჰეროინის. ოპიუმი არსებობს თხევადი, მყარი სახის, ძირითადად მოყავისფრო შეფერილობის ფხვნილის სახით ვრცელდება. შესაძლებელია მისი მოწევა, ინტრავენური ინექცია, ან აბის სახით მიღება. ასევე შესაძლებელია მისი კომბინირება სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან. იგი იწვევს ეიფორიულ ეფექტს, მოქმედებს სწრაფად, ეიფორიას მოჰყვება სწრაფი რელაქსაცია და ფიზიკური ტკივილის გაყუჩება. იწვევს პირისა და ცხვირის ღრუს სიმშრალეს. ჭარბი დოზის მიღების შემთხვევაში ანელებს სუნთქვას, იწვევს სპაზმურ შეტევებს, გულისრევას, სისუსტეს, გონების დაკარგვას, კომას, შესაძლებელია ლეტალური შედეგი.*

სიბილი: *აჰა! მე ვეამბორე შენს ბაგეს, იოქანაან, მე ვეამბორე შენს ბაგეს. შენს ბაგეს ჰქონდა მძაფრი გემო. იყო ეს გემო სისხლისა? შესაძლოა ეს სიყვარულის გემო იყო. ამბობენ, სიყვარულს მძაფრი გემო აქვსო, მაგრამ სულ ერთია, სულ ერთია. მე ვეამბორე შენს ბაგეს, იოქანაან, მე ვეამბორე შენს ბაგეს!*

სცენა 7

(დორიანი მარტოა. შემოდის ლორდი ჰენრი)

დორიანი: ახალგაზრდობა და სილამაზე! ჰარი მართალი იყო. მართლაც არაფერს აქვს ამქვეყნად ფასი ახალგაზრდობის და სილამაზის გარდა! (თავისი სახის შესწავლას იწყებს წარმოსახვით პორტრეტზე) ეს ხაზი პირთან. აქამდე არ ყოფილა... არა!... ბეზილის სახელოსნოში რომ ვინატრე, მუდამ ახალგაზრდა დავრჩე და ყველა ჩემი ცოდვა ამ პორტრეტზე გადმოვიდეს-მეთქი.... რა სისულელეა... იმედია, ნატვრა არ ამისრულდა... სასტიკად მოვექეცი? არა, თავის თავს დააბრალოს. მთელი ჩემი სიყვარული მას მივეცი, იმიტომ რომ მეგონა არაჩვეულებრივი მსახიობი იყო, მაგრამ სულელი აღმოჩნდა... და მეც მივატოვე.. მარტო დავტოვე, ატირებული.... მაგრამ მეც ხომ ვიტანჯე... არა, არა, თუ ყველა ცოდვა, რასაც ჩავიდენ, ამ სურათზე აისახება, გამოდის, ჩემი სინდისის სარკე იქნება. არა, არ უნდა შევცოდო! ცდუნებას უნდა გავუძლო. ჰარის თეორიებს ყურადღებას აღარ მივაქცევ. დავბრუნდები სიბილთან და ვეცდები თავიდან შევიყვარო...

(შემოდის ლორდი ჰენრი)

დორიანი: ვინ შემოგიშვა?

ლორდი ჰენრი: - შენს მსახურებს ჯერ კიდევ ვუყვარვარ. ერთი ეს მითხარი, სპექტაკლის დამთავრების მერე სიბილი თუ ნახე?

დორიანი: - ვნახე და სასტიკად ველაპარაკე. მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა, ამ ამბიდან ჩემთვის სასარგებლო დასკვნები გამოვიტანე.

ლორდი ჰენრი: - მიხარია, რომ ამ ამბავს ასე მშვიდად უყურებ!

დორიანი: - მიხარია, რომ როგორც იქნა გავაცნობიერე რა არის სინდისის ქენჯნა. ნუ იღიმი ასე დამცინავად, ჰარი! მინდა კარგი ადამიანი გავხდე და პირველ რიგში, სიბილ ვეინს შევირთავ ცოლად.

ლორდი ჰენრი: - ცოლად შეირთავ?

დორიანი :- ვიცი, რომ ქორწინებაზე ისევ რაღაც საძაგლობის თქმა გინდა, მაგრამ არ გაბედო. ორი დღის წინ სიბილს ვთხოვე, ცოლად გამომყოლოდა. სიტყვის გატეხას არ ვაპირებ, აუცილებლად ჩემი ცოლი გახდება...

ლორდი ჰენრი: - შენი ცოლი?! დორიან.. ჩემი წერილი არ მიგიღია?

დორიანი: - მივიღე, მაგრამ არ წამიკითხავს.

ლორდი ჰენრი: - ანუ არაფერი იცი.

დორიანი: - რას გულისხმობ?

ლორდი ჰენრი: - წერილში გწერდი რომ.. სიბილი მოკვდა.

დორიანი: - მოკვდა! ტყუილია! როგორ ბედავ!

ლორდი ჰენრი: - სამწუხაროდ სიმართლეა, დორიან. ყველა დილის გაზეთი ამაზე წერს. გამოძიება დაიწყება და რა თქმა უნდა, შენ ამაში არ უნდა გაერიო. ასეთი საქმეები კაცს პარიზში ხდის პოპულარულს, მაგრამ ლონდონში ხალხი ზედმეტად უსამართლოა.

დორიანი: - გამოძიება? რაზე ლაპარაკობ?

ლორდი ჰენრი - სიბილი თავის საგრიმიოროში, იატაკზე დაგდებული იპოვეს. რაღაც საწამლავი დალია. ამბობენ მაშინვე მოკვდაო.

დორიანი: - ჰარი, რა საშინელებაა!

ლორდი ჰენრი: - ხო, ტრაგედიაა, მაგრამ ამან შენს ნერვებზე არ უნდა იმოქმედოს. ახალგაზრდობის საიდუმლო იმაშია, რომ უარყოფით ემოციებს თავი აარიდო. წამოდი, ჩემთან და ალანთან ერთად ისადილე და მერე ოპერაში წავიდეთ.

დორიანი: - სიბილ ვეინი მოვკალი...

ლორდი ჰენრი: - და მიუხედავად ამისა ვარდი მაინც ლამაზია და ჩიტებიც ისევ ისე გალობენ ბაღში.

დორიანი: - *(იღებს წერილს, რომელსაც იქამდე წერდა)* ეს ჩემი პირველი სასიყვარულო წერილია, რაც ცხოვრებაში დამიწერია. უცნაურია, თურმე მკვდარ გოგოს ვწერდი. პატიებას ვეხვეწებოდი, ვწერდი, მაპატიე, არ ვიცი, რამ გამაგიჟა-მეთქი. უფლება არ ქონდა თავი მოეკლა. რა უნდა ვქნა? სიბილი სწორ გზაზე დამაყენებდა, შემცვლიდა.

ლორდი ჰენრი: - ერთადერთი რითაც ქალს კაცის შეცვლა შეუძლია ისაა, რომ ისე მოაბეზროს თავი, ცხოვრების ყველანაირი ინტერესი დააკარგვინოს. იმ გოგოს ცოლად თუ მოიყვანდი, საწყალი და საცოდავი გახდებოდი.

დორიანი: - მახსოვს ერთხელ თქვი, სწორ გადაწყვეტილებებს მხოლოდ ძალიან გვიან ვიღებთო. ჩემს შემთხვევაში აშკარად ასეა... მაგრამ, ჰარი, რატომ არ განვიცდი ამ ტრაგედიას ისე, როგორც მინდა, რომ განვიცდიდე? არა მგონია, უგულო ვიყო.

ლორდი ჰენრი: - ხანდახან, ტრაგედია პირდაპირ ჩვენ ცხოვრებაში იჭრება და ვხვდებით, რომ თამაშის მაგივრად მაყურებლები ვხდებით და მშვენიერ სპექტაკლს ვუყურებთ. ამ

შემთხვევაში რა მოხდა? ვიდაცამ შენი გულისთვის თავი მოიკლა. ვისურვებდი ოდესმე მეც გამოვცადო რამე მსგავსი.

დორიანი: - შენ გავიწყდება, რომ მე სასტიკად მოვექეცი.

ლორდი ჰენრი: - არასოდეს მინახიხარ გაბრაზებული, მაგრამ წარმომიდგენია რა მომხიბვლელი იქნებოდი...

დორიანი: - უკან აღარასოდეს დაბრუნდება.

ლორდი ჰენრი: - არა, მაგრამ ამ სიკვდილს ისე უნდა შეხედო, როგორც არაჩვეულებრივი ტრაგედიის ერთ-ერთ სცენას. ვთქვათ, ოფელიას დატირებას, კორდილიას სიკვდილს.... მაგრამ არ ღირს ცრემლების ფრქვევა სიბილ ვეინისთვის.

დორიანი: - მართალი ხარ, მომხდარზე არასოდეს ვილაპარაკებთ. შესანიშნავი გამოცდილება იყო. სულ ესაა.

ლორდი ჰენრი: - ახლა კი აჯობებს ჩავიცვათ და წავიდეთ. უკვე ისედაც დავაგვიანეთ.

დორიანი: - შენ და ალანს ოპერაში გნახავთ. გულწრფელად მადლობელი ვარ ყველაფრისთვის, რაც მითხარი.

(ლორდი ჰენრი გადის. დორიანი წარმოსახვით პორტრეტს უყურებს და ბოდავს)

ეს სასტიკი ხაზი ჩემს პირთან ზუსტად იმ წუთს გაჩნდა როცა მან საწამლავი დალია. ნუთუ მართლა შედეგებს ასახავს? ყველა ის ცვლილება ჩნდება მასზე რაც ჩემს სულში ხდება? არჩევანის გაკეთების დრო მოვიდა. მუდმივი ახალგაზრდობა, უცხო ვნებები, საიდუმლო ცოდვები... ეს ყველაფერი მექნება. ეს პორტრეტი იტვირთავს ყველა ჩემს სირცხვილს. მართლა სასიამოვნო იქნება ამ პროცესის ყურება. ათას ადგილას შემიძლია წავიდე და უკვდავი ახალგაზრდობით დავტკბე. ვის აინტერესებს ფარდის უკან დამალულ პორტრეტს რა მოუვა? მთავრია, რომ მე მშვიდად ვიქნები.

(შედის ხმაურიან კლობში, სადაც ჰენრი და ალანი არიან)

სცენა 8

(კლუბში ბეზილი შემოდის)

ბეზილი: - როგორ მიხარია, რომ გიპოვე დორიან. ვერ წარმოიდგენ როგორ ვწუხვარ მომხდარის გამო. წუხელ ვიყავი მაგრამ არ დამხვდი. სიბილი მოკვდა და შენ ოპერაში წახვედი?

დორიანი: - რაც მოხდა მოხდა. წარსული წარსულში დარჩა.

ბეზილი: - გუშინდელ დღეს წარსულს ეძახი?

დორიანი: - დრო რა შუაშია. მხოლოდ სულელებს ჭირდებათ წლები ემოციების დასავიწყებლად. კაცს, რომელიც თავისი თავის მზრძანებელია, შეუძლია ისევე მარტივად დაივიწყოს მწუხარება, როგორც დავუშვათ, სიამოვნება მიიღოს.

ბეზილი: - რაღაცამ შეგცვალა. ისე ლაპარაკობ, თითქოს გული საერთოდ არ გქონდეს. სულ ჰარის გავლენაა, ხომ ასეა.

დორიანი: - ჰარისთან ვალში ვარ. უფრო მეტადაც ვიდრე შენთან. შენ მხოლოდ თვითკმაყოფილება მასწავლე. რა გინდა ჩემგან?

ბეზილი - ის დორიან გრეი, რომელიც ოდესღაც დავხატე.

დორიანი - ბეზილ, ძალიან გვიან მოხვედი. გუშინ, როცა გავიგე, რომ სიბილ ვეინმა თავი მოიკლა...

ბეზილი - თავი მოიკლა? დარწმუნებული ხარ?

დორიანი - რა თქმა უნდა, თავი მოიკლა! ჩვენი დროის რომანტიული ტრაგედიაა. სულ ტყუილად გაფლანგა თავისი სილამაზე...

ბეზილი: - დორიან..

დორიანი: - უსამართლო ხარ, ბეზილ. ჩემთვის ნუგეშის საცემად მოხვედი, მადლობელი ვარ. ამ დროს მოდიხარ და ხედავ, რომ ნუგეში არ მჭირდება და ბრაზდები? თუ მართლა გინდა თავი უკეთ ვიგრძნო, მასწავლე როგორ დავივიწყო ის, რაც მოხდა.

ბეზილი: - ძალიან კარგი. ამ საშინელებაზე ამიერიდან ხმას აღარ ამოვიღებ. იმედია შენს სახელს არავინ ახსენებს ამ საქმეში. დაკითხვაზე ხომ არ გამოგიძახეს?

დორიანი: - ჩემი სახელიც კი არ იციან.

ბეზილი - სიბილმა ხომ იცოდა?

დორიანი - არა. მომხიბვლელ უფლისწულს მეძახდა. რა საყვარელი სახელია, არა? ბეზილ, სიბილის პორტრეტი უნდა დამიხატო. მისგან რაღაც უნდა დამრჩეს ერთი-ორი კოცნის და შეუსრულებელი პირობის გარდა.

ბეზილი: - ვეცდები, თუ შენ ეს გესიამოვნება. მაგრამ დამპირდი, რომ მოხვალ და დაჯდები ჩემთან, რომ კიდევ ერთხელ დაგხატო. უშენოდ ვერაფერს ვიზამ.

დორიანი: - ჩემი დახატვის უფლებას ველარ მოგცემ, ბეზილ.

ბეზილი: - კი მაგრამ, შენ ხომ მოგწონს ის პორტრეტი, რომელიც დავხატე?

(ბეზილი პორტრეტისკენ მიდის და დორიანი აჩერებს)

დორიანი: - არ შეხედო!

ბეზილი: - ჩემს საკუთარ ნამუშევარს არ შევხედო?! ვითომ რატომ?

დორიანი: - თუ ეცდები, იცოდე სანამ ცოცხალი ვარ, ხმას არასოდეს გაგცემ.

ბეზილი: - დორიან, რა ხდება? რა სისულელეა, ჩემივე სურათს რომ არ მანახებ, მით უმეტეს, რომ პარიზში, გამოფენაზე ვაპირებ გაგზავნას.

დორიანი: - შენ მარწმუნებდი არასოდეს არ გამოვფენო. ჰარისაც იგივე უთხარი. ვითომ რაღაც საშინელი საიდუმლო დაფარა ამითო. რატომ არ გინდოდა ჩემი სურათის ვინმესთვის ჩვენება?

ბეზილი: - რომ გითხრა ჩემზე უფრო დაგეკარგება წარმოდგენა. თუ გინდა, რომ ჩემი საუკეთესო ნამუშევარი ყველას დაუმალო, კი ბატონო. შენი მეგობრობა უფრო ძვირფასია ჩემთვის, ვიდრე ჩემი რეპუტაცია.

დორიანი - არა, მითხარი. უფლება მაქვს ვიცოდე.

ბეზილი - მაშინ ერთ კითხვაზე მიპასუხე. სურათზე რამე ხომ არ შეგიმჩნევია? რაღაც ისეთი, რისთვისაც თავიდან ყურადღება არ მიგიქცევია, მაგრამ ბოლო დროს შენიშნე? *(დორიანის შეშინებულ მზერას ხედავს)* როგორც ვხედავ შეამჩნიე. არაფერი თქვა. დამამთავრებინე. დორიან, იმ მომენტიდან, რაც გაგიცანი, ჩემზე საოცარი გავლენა მოახდინე. თაყვანს გცემდი და მხოლოდ ჩემთვის მიხდოდი. თვითონაც არ მესმოდა, მაგრამ შენი წყალობით სამყარო როგორც იქნა, მშვენიერი გახდა ჩემთვის. მოვლენებს სხვანაირად დავუწყე ყურება. თითქოს იმ სამყაროს თავიდან შექმნა შემეძლო, რომელიც აქამდე უხილავი იყო ჩემთვის. და ერთ დღესაც, შენი პორტრეტი დავხატე. არ ვიცი ეს რა იყო... მოკლედ ხატვის დროს პორტრეტმა დაიწყო იმის ასახვა, რის დამალვასაც ასე ვცდილობდი. მეშინოდა, რომ თუ სხვებიც ნახავდნენ პორტრეტს, ჩემი გრძნობები

ყველასთვის აშკარა გახდებოდა. ჰარიმ დამცინა, როცა ვუთხარი, რომ სურათს არასოდეს გამოვფენდი, მაგრამ როცა მარტო დავრჩი, მივხვდი, რომ სწორი ვიყავი... ძალიან ბევრი გითხარი და ბევრ რამეში გაგრიე. ხედავ ამ ყველაფერს პორტრეტზე?

დორიანი: - რაღაც შევამჩნიე.. რაღაც ისეთი, რამაც ძალიან დამაინტერესა.

ბეზილი: - ახლა მაინც ხომ მომცემ უფლებას შევხედო?

დორიანი: - არ შემიძლია, ბეზილ.

ბეზილი: - კარგი. ასე იყოს. ყველაფერი რაც კარგი გამიკეთებია ცხოვრებაში, შენი დამსახურებაა. ძალიან გამიჭირდა შენთვის ამის თქმა.

დორიანი: - არაფერი განსაკუთრებული არ გითქვამს, ბეზილ.

ბეზილი: - ახლა, როცა ყველაფერი გითხარი, თითქოს მომეშვა. სამწუხაროა, სურათს რომ არ მანახებ, მაგრამ არა უშავს. ნახვამდის.

(ბეზილი გადის.)

დორიანი: უნდა მეთქვა ნამდვილი მიზეზი, სურათი რატომ დავუშალე? რაღაც არ უნდა დამიჯდეს, პორტრეტი უნდა დავშალო. არც ერთმა თვალმა არ უნდა ნახოს ჩემი სირცხვილი.

(დორიანი შეიყნოსავს კოკაინს, იღებს წიგნს, გადაშლის და კითხულობს)

„რა გულუბრყვილო ხარ, ჟუსტინა! ვინ ჩაგაგონა ეს იდიოტური აზრები? ახლავე აგიხსნი, სინამდვილეში რა ხდება. ერთადერთ დანაშაულად ამ შემთხვევაში თესლის ტყუილად დაღვრა შეიძლება ჩაითვალოს. თუ თესლი მხოლოდ გამრავლებისთვის მოგვეცა, მისი სხვა დანიშნულებით გამოყენება უთუოდ დანაშაულია, მაგრამ თუ დავამტკიცებთ, როცა ბუნებამ იგი ჩვენს სხეულში მოათავსა და სულაც არ ზრუნავდა გამრავლებაზე, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, ჟუსტინა, სად ჩავცლით მას, საშობი, უკანა გასასვლელში, პირში თუ ხელის გულში? მამაკაცი, რომელიც თესლს სხვა ადგილებში ღვრის, სულაც არ სჩადის უფრო მეტ ბოროტებას, ვიდრე თავად ბუნება. განა ბუნება ყოველ ნაბიჯზე არ გვიმტკიცებს თავის მფლანგველობას, და განა ჩვენთვის იგი მაგალითი არ უნდა იყოს? თავისთავად ასეთი ტკობის შესაძლებლობა რომ არსებობს, ეგ უკვე ამტკიცებს, რომ ბუნებას სულაც არ შეურაცხყოფს მსგავსი ქმედებები. რომ შეურაცხყოფდეს, საკმაოდ ძლიერი და ბრძენია იმისთვის, რომ არ დაეშვა ეს. ეს ხომ დაარღვევდა მის გეგმებს, დაადასტურებდა მის სისუსტეს და ჩვენს დანაშაულებს დააკანონებდა. ამას გარდა, თესლის დაკარგვა ბევრ სხვა შემთხვევაში თავისთავადაც ხდება. დამეული პოლუციები, თესლის უსარგებლობა ქალის ორსულობის დროს და ასე შემდეგ... განა ეს არ მეტყველებს იმაზე, რომ ბუნება ამართლებს მსგავს დანაკარგებს, მეტიც - სრულიად გულგრილია იმის მიმართ, თუ რა მოჰყვება ამ სითხის ამოფრქვევას,

რომელსაც, ჩვენ, სულელები, უფრო მეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ვიდრე თავად ბუნება. და ბოლოს, თუ ჩვენი ნებისმიერი გადაწყვეტილება მისი ძლიერებისა და ჩვენზე ზეგავლენის შედეგია, გამოდის, რომ ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, ბუნებისთვის მოსაწონია და მის გეგმებს ხელს ვერ შეუშლის. დამერწმუნე, ჟუსტინა, ბუნება გულგრილია ასეთი წვრილმანებისადმი, რომელთაც ჩვენ კულტად ვაქცევთ.

ახლა იმ ღმერთს მივუბრუნდეთ, რომელმაც, თქვენი თქმით, ოდესღაც სქესობრივი გარყვნილებისთვის დასაჯა არაბეთის მიყრუებული ქალაქები, სოდომი და გომორა. ჯერ ერთი, მათი არსებობის შესახებ წარმოდგენა არა აქვს არცერთ გეოგრაფს. მოდი, თავდაპირველად, დავუშვათ თქვენი ღმერთის არსებობა, რაც მე საერთოდ არა მწამს, ჩემო ძვირფასო. მერე ისიც უნდა დავუშვათ, რომ ეს ღმერთი, რომელიც თქვენ სამყაროს მეუფედ და შემქმნელად მიგაჩნიათ, შეიძლება ისე დაბლა დაეცეს, რომ ამოწმოს, სად ყოფენ მამაკაცები თავიანთ ასოს: საშოში თუ უკანა გასასვლელში. ეს ხომ სრული აბსურდია! არა, ჟუსტინა, არავითარი ღმერთი არ არსებობს!

(შემოდის ბეზილი)

და როცა ადამიანი ფილოსოფიური აზროვნების იმ დონეს მიაღწევს, რომლისკენაც ჩვენს საუკუნეში დღითიდღე ვისწრაფვით, ყველანი გავიაზრებთ, რომ ჩვენ საკუთარი გემოვნების ბატონ-პატრონები არა ვართ, ბრალი არ მიგვიძღვის მათში, როგორ არაბუნებრივადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს ისინი, ან იმდენადვე მიგვიძღვის ბრალი, რამდენადაც შეიძლება სიმახინჯისთვის განვიკითხოთ ადამიანი, რომელიც მახინჯად დაიბადა.’

დორიანი - ჩემო ძვირფასო ბეზილ! საუკუნეა არ მინახიხარ! ძალიან ვწუხვარ რომ მიდიხარ, მაგრამ იმედია მალე დაბრუნდები ხო?

ბეზილი - არა მგონია. ვაპირებ პარიზში სახელოსნო ვიქირავო და ჩემი თავი იქამდე გამოვიკეტო შიგნით, სანამ ერთ ღირებულ სურათს მაინც არ შევქმნი, რომლითაც ვიამაყებ. მაგრამ ჩემზე სალაპარაკოდ არ მოვსულვარ. რაღაც მინდა გითხრა.

დორიანი - იმედია, სერიოზული არაფერია.

ბეზილი - დორიან, ვფიქრობ ჯობია იცოდე, რომ შენზე ლონდონში საშინელ რამეებს ამბობენ.

დორიანი - სხვებზე ჭორების მოსმენა მიყვარს, მაგრამ საკუთარ თავზე მოსაწყენია.

ბეზილი - შენგან განსხვავებით, ჭორების არ მჯერა. ადამიანების სახეზე მხოლოდ ცოდვები აისახება. ამის დამალვა შეუძლებელია.. ვერაფრით ვერ დავიჯერებ, რასაც შენზე ამბობენ.

დორიანი - ფრთხილად ბეზილ, ძალიან შორს წახვედი.

ბეზილი - არ ვიცი, საერთოდ თუ გიცნობ. უბრალოდ მითხარი ასე რამ შეგცვალა. მითხარი, რომ ის, რასაც ხალხი შენზე ამბობს ტყუილია!

დორიანი: - ჩემი ცხოვრების დღიური მაქვს, რომელიც ყველა დღეს ინახავს. თუ წამომყვები განახებ.

ბეზილი: - სიმართლე უნდა ვიცოდე!

დორიანი: - მაგასაც გეტყვი. შენ ერთადერთი ადამიანი ხარ ამ ქვეყნად, ვისაც უფლებას ვაძლევ, ყველაფერი იცოდეს ჩემზე. შენ იმაზე მეტი შეცვალე ჩემს ცხოვრებაში, ვიდრე გგონია. გგონია მხოლოდ ღმერთს შეუძლია ჩემი სულის დანახვა? მოემზადე, ახლა ჩემს სულს დაინახავ! შენი ნამუშევარია. რატომაც არა, წამოდი განახებ. შეგიძლია მერე მთელს მსოფლიოს მოუყვე და არავინ დაგიჯერებს. წამოდი, ისედაც საკმარისი ილაპარაკე. დროა შენი თვალთ ნახო. თავიდან, როცა გამიცანი, თავბრუ დამახვიე. მერე შენი წყალობით ჰარის შევხვდი, შენ დახატე პორტრეტი, რომელმაც ყველა ჩემი ცოდვა იტვირთა.

ბეზილი: - დორიან, რა ხდება? რა მოგივიდა?

დორიანი: - ძალიან გვიანია, ბეზილ!

(დორიანი დანას იღებს, დაარტყამს, კლავს)

დორიანი: - რა სწრაფად მოხდა ყველაფერი! (ბეზილის სხეულს აკვირდება) ამაზე დიდხანს თუ ვიფიქრებ, გავგიჟდები. ვინ რას დამიმტკიცებს? ბეზილი 11 საათზე გავიდა სახლიდან. უკან შემობრუნებული არავის უნახავს. ხალხი იფიქრებს, რომ ღამის მატარებლით პარიზში წავიდა, როგორც აპირებდა. თვეები გავა სანამ ვინმე რამეში დაექვდება. მანამდე კი ყველაფრის განადგურება შეიძლება.

(შემოდის ალანი)

ალან! როგორ მიხარია შენი ნახვა. მადლობა რომ მოხვედი.

ალანი: - შენს სახლში ფეხს არასოდეს შემოვადგამდი, გრეი, მაგრამ მომწერე სიკვდილ-სიცოცხლის ამბავიაო..

დორიანი: - ხო ალან, მართლა სიკვდილ-სიცოცხლის ამბავია. ამ სახლში ადამიანის გვამია. ვინ არის და რატომ მოკვდა, ეს შენ არ გეხება. შენ მხოლოდ უნდა..

ალანი: - გრეი, შეწყვიტე! არაფრის გაგონება არ მინდა. შენი საშინელი საიდუმლოებები შენთვისვე შეინახე, აღარ მაინტერესებს. შენთან საერთო არაფერი მაქვს.

დორიანი: - ეს დაგაინტერესებს. შენ ქიმიკში კარგად ერკვევი. ექსპერიმენტებს ატარებდი. გვამი უნდა გაანადგურო, ფერფლად აქციო, რომ მისი ჰაერში გაფანტვა შევძლო.

ალანი: - სულ გაგიჟებულხარ, დორიან, თუ გგონია რომ შენი გულისთვის თითხ მამინც გავანძრევ.

დორიანი: - ველოდებოდი დორიანს როდის დამიძახებდი!

ალანი: - ხელს არაფერს ვახლებ. თუ ხვდები მამინც, რას მთხოვ?

დორიანი: - შენ ვერ გაიგე, იმ კაცმა თავი მოიკლა.

ალანი: - წარმომიდგენია ვინ მიიყვანა საქმე აქამდე.

დორიანი: - ჩემი გულისთვისაც არ იზამ ამას?

ალანი: - რა თქმა უნდა, არა! როგორ ბედავ! თან გინდა, რომ რაღაც საშინელებაში გამხვიო. უნდა მცოდნოდა, რომ ადამიანს მხოლოდ გარეგნულად ჩამოგავხარ. შენი ძვირფასი ლორდი ჰენრი ალბათ ფსიქოლოგიის ამ კუთხესაც გაგაცნობდა ყველაფერ დანარჩენთან ერთად, რაც გასწავლა. საშინელი ადამიანი გახდი.

დორიანი: - ალან, ის კაცი მე მოვკალი.

ალანი: - მოკალი?! ღმერთო ჩემო, დორიან.

დორიანი: - არ იცი, რა ტანჯვა გამომატარა. მან უფრო დიდი გავლენა მოხდინა ჩემს ცხოვრებაზე, ვიდრე ჰარიმ.

ალანი: - ნუ ღელავ, არ დაგაბეზლებ. საერთოდ არაა ჩემი საქმე. თუმცა, ციხეში უნდა იჯდე. არავინ ჩადის დანაშაულს ისე, რომ რამე სულელური შეცდომა არ დაუშვას. აუცილებლად გიპოვნიან.

დორიანი: - მომისმინე, ალან. ყოველ დღე საავადმყოფოებში და მორგში დადიხარ და რა საშინელებებსაც აკეთებ, შენზე აღარ მოქმედებს. მხოლოდ ის მინდა გთხოვო, რასაც ყოველთვის აკეთებ. გემუდარები. გვამს თუ იპოვნიან დავილუპები. შენ ერთადერთი ხარ ვისაც ჩემი გადარჩენა შეუძლია.

ალანი: - არანაირი სურვილი არ მაქვს, გადაგარჩინო.

დორიანი: - ალან გევედრები, ჩვენ ხომ მეგობრები ვიყავით. ალან, ჩამომახრჩობენ! გესმის? ჩამომახრჩობენ იმისთვის, რაც ჩავიდინე!

ალანი :- გეყოფა!

დორიანი: - უარს მეუბნები?

ალანი: - ბოლოჯერ გიმეორებ - არა-მეთქი!

დორიანი: - მაშინ მაპატიე, ალან, მაგრამ სხვა არჩევანს არ მიტოვებ.

(დორიანი ჯიბიდან წერილს იღებს და ალანს მისამართს ანახებს.)

ამ კონვერტში ჩვენი საგმირო საქმეებია აღწერილი. მისამართს ხედავ? თუ არ დამეხმარები, გავაგზავნი. ძალიან კარგად იცი, რა შედეგი შეიძლება მოყვეს ამას. შეიძლება ფეხებზე გკიდია მე ჩამსვამენ თუ არა, მაგრამ საკუთარ თავზე რას იტყვი? ძალიან კარგად იცი, ციხეში ჩვენნაირებს რას უშვებიან. სიკვდილი სანატრელი გაგიხდება. ჰოდა, ახლა თავი ხელში აიყვანე და გააკეთე რასაც გეუბნები.

ალანი: - ლაბორატორიიდან რაღაცეები უნდა ავიღო.

დორიანი - არა, ალან, სახლიდან ვერ გახვალ. ფურცელზე ჩამოწერე რა გჭირდება და ჩემი მსახური მოგიტანს. შენ მე გადამარჩინე ალან, ამას არასოდეს დაგივიწყებ.

ალანი - არც მე.

(ბეზილის გვამს გაათრევს)

სცენა 9

(კლუბში, დორიანი და მერი. შორ კუთხეში ჯეიმსია, ნარკოტიკული აბსტინენციისგან იტანჯება)

მერი: - ჭიანჭველები. წითელი ჭიანჭველები დამესივნენ.

(მერი აკვირდება დორიანს და რამდენიმე წამის შემდეგ ცნობს.)

მერი: - მოგონებები სულს გვხდიან.

დორიანი: - რა გქვია?

მერი: - მერი. შენ რა გქვია?

დორიანი: - მომხიბვლელი უფლისწული დამიძახე. ის ასე მეძახდა.

(ამის გაგონებაზე ჯეიმსი თავს წევს და დიალოგს უსმენს.)

მერი - ჩვენ ყველა მკვდრები ვართ აქ. ეს არის შენი სამეფო. ეს არის შენი სამუდამო ჯილდო. მოიცა, რა თქვი, მომხიბვლელი უფლისწული დამიძახეო?

(ჯეიმსი დორიანს უახლოვდება, ყელში ხელს წაუჭერს და კედელზე მიანარცხებს.)

დორიანი: - რა გინდათ ჩემგან?

ჯეიმსი: - (იღებს რევოლვერს და დორიანს შუბლზე ადებს) დარწმუნებული ვარ, ღმერთი არსებობს..

დორიანი: - რა დაგიშავეთ!

ჯეიმსი: - სიბილ ვეინი ჩემი და იყო. შენ სიბილის მკვლელი ხარ! მუხლებზე! (დორიანს მიწაზე აგდებს).

დორიანი: - სიბილ ვეინი? ეგ ვინაა? არ ვიცნობ.

ჯეიმსი: - ღმერთს პატიება თხოვე, უფლისწულო, იმიტომ რომ ამაღამ მოკვდები.

დორიანი: - მე არ მომიკლავს თქვენი და. მაგრამ ნამდვილი მკვლელი სიკვდილის ღირსია! *(დორიანი კოკაინის ჩეკს ჩაუდებს ხელში, ჯეიმსი ხელს გაუშვებს. დორიანი გარბის.)*

მერი: - სულელო! უნდა მოგეკლა.

ჯეიმსი: - ეს ის კაცი არ იყო ვისაც მე ვემებდი.

სცენა 10

(დორიანი და ჰენრი)

დორიანი - ხელოვნებაზე რას იტყვი?

ლორდი ჰენრი - ავადმყოფობაა.

დორიანი - სიყვარული?

ლორდი ჰენრი - ილუზია.

დორიანი - რელიგია?

ლორდი ჰენრი - რწმენის მოდური ჩანაცვლება.

დორიანი - საკმარისია. ძალიან დამღალე. სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

ლორდი ჰენრი - მაშინ ალან ქემბელზე ვილაპარაკოთ. მის ამბავზე ახლა ყველა ჭორაობს და ჩვენც ნუ ჩამოვრჩებით მოდას.

დორიანი - ალან ქემბელზე? რა მოხდა?

ლორდი ჰენრი - არ გაგიგია? საშინელი ანდერძი დატოვა და თავის ლაბორატორიაში თავი ჩამოიხრჩო. საინტერესოა, ჩვენს სამეგობროში შემცვლელი საიდან მოვიყვანო.

დორიანი - შეეშვი. ერთ დროს მიყვარდა, ხომ იცი.

ლორდი ჰენრი - სიყვარული. შეიძლება ილუზიაა, მაგრამ მგონია რომ მთელი ცხოვრება სიყვარულის მეტი არაფერი მიკეთებია.

დორიანი: - მითხარი, ჰარი, მაგ შენი ფილოსოფიით ბედნიერი ხდები?

ლორდი ჰენრი: - ბედნიერება არასოდეს მიძებნია. ვის რაში ჭირდება ბედნიერება? მე მხოლოდ სიამოვნებას ვეძებდი.

დორიანი: - და პოულობდი?

ლორდი ჰენრი: - საკმაოდ ხშირად.

დორიანი *(ფანჯარასთან მიდის)*- როგორც მე. თან ზედმეტად ხშირადაც...

ლორდი ჰენრი - ზედმეტად ხშირად? ასეთი რამე არსებობს?

(დორიანს ჯეიმსის სახე ელანდება, წაბარბაცდება)

ლორდი ჰენრი - კარგად ხარ?

დორიანი: - ყველაფერი დამთავრდა! იმ კაცმა ყველაფერი იცის!

ლორდი ჰენრი - ვინ? რა?

დორიანი - ფანჯარაში! დავინახე!

ლორდი ჰენრი - გარეთ არავინ არაა, დორიან!

დორიანი - საიდან გაიგო, სად ვცხოვრობ? მისამართი ვინ მისცა?

ლორდი ჰენრი - ვის?

დორიანი - უნდა წავიდე. ახლავე. უნდა გავიქცე.

ლორდი ჰენრი - ჩემო საბრალო ბიჭო...

დორიანი - წადი-მეთქი! გაეთრიე! წადი!

(ჰენრის ძალით გააგდებს. კარს აწვება, რომ ჰენრი უკან არ შემოუშვას. სხვა მხრიდან შემოდის ბეზილის და სიბილის აჩრდილები. დორიანს ფეხდაფეხ დაჰყვებიან, ხმის ამოუღებლად, მის ყველა მოძრაობას იმეორებენ)

სიბილის ძმა არ მოსულა ჩემს მოსაკლავად. ისიც კი არ იცის, ვინ ვარ! ამ შიშში არ ვიცხოვრებ! ჩემს ცხოვრებას რა აზრი აქვს, სინდისის ქენჯნამ ასე თუ უნდა შემაწუხოს? სიბნელიდან დამცინის.. ყურში მეჩურჩულებს.. ღმერთო! ჩემი მეგობარი მოკვალი! ეს რა ჩავიდინე?

(დორიანი კარს ხელს უშვებს, ოთახში ბრუნდება ჰენრი)

ლორდი ჰენრი - დორიან, რა ხდება?

დორიანი - ჰარი, ამქვეყნად ძალიან ბევრი საშინელება ჩავიდინე და მათ გამეორებას აღარ ვაპირებ. ცოტა ხნით სოფელში წავალ.

ლორდი ჰენრი - სოფელში ყველა კარგად გრძნობს თავს. იქ ვერანაირ ცდუნებას ვერ წააწყდები.

დორიანი - უნდა გამოვსწორდე.

ლორდი ჰენრი - შენ ისედაც იდეალური ხარ, ისეთი როგორც ხარ. ძალიან გთხოვ, ნუ შეიცვლები.

დორიანი - უკეთესი უნდა გავხდე. (პაუზა) ჰარი, არასოდეს დაფიქრებულხარ ბეზილს რა მოუვიდა?

ლორდი ჰენრი - თუ ბეზილმა დამალვა გადაწყვიტა, ეს ჩემი საქმე არაა. თუ მკვდარია, მასზე ფიქრი არ მინდა. სიკვდილი ერთადერთი რაღაცაა, რაც ყოველთვის მაშინებდა. ვერ ვიტან სიკვდილს.

დორიანი - ხო, მაგრამ, რატომ?

ლორდი ჰენრი - იმიტომ, რომ ყველაფერს მოერევი სიკვდილის გარდა.

დორიანი - ჰარი, არასოდეს მოგსვლია თავში აზრად, რომ ბეზილი შეიძლება მოეკლათ?

ლორდი ჰენრი - ვიცი, სადღაც გაზეთებშიც ეწერა ეგ ვერსია, მაგრამ არ მეჩვენება სიმართლედ. პარიზში ბევრი საშინელი ადგილია, მაგრამ ბეზილი ის ტიპი არაა, მანდ წასულიყო. ცნობისმოყვარეობა აკლდა. ეს იყო მისი ერთ-ერთი მთავარი ნაკლი.

დორიანი - რას იტყვი, რომ გითხრა, ბეზილი მე მოგვკალი-მეთქი?

ლორდი ჰენრი - გეტყვოდი, რომ შენ არ ხარ ის, ვინც ასეთ დანაშაულს ჩაიდენდა. დანაშაულს მხოლოდ სულმდაბალი ადამიანები ჩადიან. მათთვის დანაშაული იგივეა, რაც ჩვენთვის ხელოვნება, მხოლოდ და მხოლოდ რაღაც განსაკუთრებულის შეგრძნების მცდელობაა.

დორიანი - როგორ გგონია, ვინც ერთხელ უკვე ჩაიდინა დანაშაული, იგივეს გამეორებას შეძლებს?

ლორდი ჰენრი - ყველაფერი შეიძლება სიამოვნებად გადაიქცეს, თუ ხშირად გააკეთებ. მაგრამ, მოდი შევწყვიტოთ საბრალო ბეზილზე ლაპარაკი. დასაწინაა, მაგრამ დიდი ხანია ერთი წესიერი ნახატიც არ შეუქმნია. მისი ბოლოდროინდელი ნამუშევრები საკმაოდ უღიმღამო იყო. სანამ თქვენ მეგობრობდით, ბეზილი შესანიშნავი მხატვარი იყო. ხო მართლა, რა მოუვიდა იმ შენს დიდებულ პორტრეტს? მგონი მას მერე არ მინახავს, რაც დაასრულა. იშვიათი შედეგრი იყო.

დორიანი - ვწუხვარ, მაგრამ შენახვა მომიწია. მტკივნეული მოგონებები მაკავშირებდა მასთან.

ლორდი ჰენრი - მჯერა, რომ ხელოვნებას სული გააჩნია, ადამიანებს კი არა.

დორიანი - არ გინდა, ჰარი. სული საშინელი რამაა. მას ვერც იყიდი, ვერც გაყიდი და ვერც უღალატებ. ვერც მოწამლავ და ვერც სუფთად შეინახავ. სული ყველას გვაქვს, დარწმუნებული ვარ.

ლორდი ჰენრი - ესე იგი, ილუზია ყოფილა. თუ ვინმე რამეში სრულიად დარწმუნებულია, ეგ არასოდესაა სიმართლე. *(ლორდი ჰენრი დორიანის სახეს ხელებში მოიქცევს)* დორიან, მითხარი როგორ შეინარჩუნე ახალგაზრდობა, მე მხოლოდ 10 წლით ვარ შენზე უფროსი და თავი უკვე ბებერი მგონია, მითხარი შენი საიდუმლო! ასეთი რა საოცარი ცხოვრება გქონდა! ყველაფერი ნახე, არაფერი დაგრჩა შეუცნობელი და ამ დროს არაფერი არ დაგტყობია. შენ არ შეცვლილხარ.

დორიანი - შევიცვალე, ჰარი.

ლორდი ჰენრი - შენც კარგად იცი, რომ არ შეცვლილხარ. სიამოვნებით გაგიცვლიდი ადგილს. ყველა გაღმერთებს და ყოველთვის ასე იქნება. შენ ის ხარ, ვისაც წლები ასე ეძებენ და ვერ პოულობენ.

დორიანი - შენ ყველაფერი არ იცი ჩემზე. რო გაიგო, შენც კი ზურგს შემაქცევ.

ლორდი ჰენრი - მე და შენ ყოველთვის მეგობრები ვიქნებით.

დორიანი - შენ მომწამლე, ჰარი, ამას არასოდეს გაპატიებ..

ლორდი ჰენრი - მაგრამ მოდი შორს ნუ წავალთ. წამოდი, შინ დავბრუნდეთ და ამ საღამოს ოპერაში წაგიყვან.. მერე კლუბში წავალთ და მშვენიერი ხალხის გარემოცვაში ყველაფერი დაგვავიწყდება...

დორიანი - ძალიან კარგი. შენ წადი, მე ახლავე დაგეწევი.

(ჰენრი გადის, დორიანი მარტო რჩება.)

ღმერთო, რას ვგავარ! ნუთუ წარსული სულ თან უნდა მდევდეს? სიკვდილმა სულ უნდა მიყეფოს? ნუთუ უნდა დავნებდე და სიკვდილს ჩემი თავი დავუთმო? რომც ვაღიარო, ვინ დამიჯერებს? ყველას უბრალოდ გიჟი ვეგონები. ალბათ ესაა ჩემი ვალი, რომ სირცხვილისგან ვიტანჯო და დანაშაული არ ვაღიარო. მე რა, მართლა ვაპირებ აღიარებას? არასოდეს! მხოლოდ ერთადერთი მტკიცებულებაა დარჩენილი ჩემს წინააღმდეგ - ეს სურათი. რატომ ვინახავდი ამდენ ხანს? ერთ დროს სიამოვნებით ვაკვირდებოდი, როგორ ეცვლებოდა სახე... მაგრამ ახლა...ახლა თითქოს ჩემს სინდისად გადაიქცა. სინდისად, რომელიც არასოდეს მითხოვია და არასოდეს დამჭირვებია! გავანადგურებ! ბეზილის ნამუშევარს მოვსპობ, წარსულს მოვკლავ, ამ კოშმარს დავასრულებ და ერთხელ და სამუდამოდ სიმშვიდეს მოვიპოვებ!

(დორიანი იღებს დანას, რითაც ბეზილი მოკლა და მუცელში ირტყამს. ტკივილისგან იკრუნჩხება და კვდება)

დასასრული.